ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №115

2021 წ. 25 ივნისი. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო-საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ვაჟა ოთარაშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი, ბორია ფირცხელიანი.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
დღის წესრიგი :ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.
(11-01211733385 საკრ#15-032117386-03; 11-01211692570 საკრ.#15-032116928)

გაიოზ თალაკვაძემ კომისიის წევრებს მოახსენა ასიგნებების კვარტალური და წლიური ცვლილების შესახებ. კერძოდ:

ვაკის რაიონის გამგეობის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, რაიონის „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში 262 700 ლარის გადატანა ხდება მეორედან მესამე კვარტალში. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებით: ჭილაიას, ასათიანისა და კაპანელის ასასვლელი ქუჩის კაპიტალური შეკეთების ფარგლებში, სამუშაოების შემსრულებელი კომპანია ვერ ახერხებს გეგმით გათვალისწინებული თანხების წარმოდგენას.

„სხვა სოციალური(დახმარების)ღონისძიბების პროგრამაში, დაგეგმილთან შედარებით მეტი მომართვიანობიდან გამომდინარე გამგეობა ითხოვს მეორე კვარტალში 45700 ლარის დამატებას.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების დაფინანსებისათვის, საბურთალოს რაიონის გამგეობის მოთხოვნით, პროგრამის მეორე კვარტლის გეგმას ემატება 83 200 ლარი.

წარმოდგენილია ასევე, თბილისის განვითარების ფონდის მოთხოვნა საერთო ჯამში 4 000 000 ლარის მეორედან მესამე კვარტალში გადატანასთან დაკავშირებით, ვინაიდან ვერ განხორციელდა გუდიაშვილის მოედანზე და მიმდებარე ქუჩებზე შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია , გარდა ამისა ვერ განხორციელდა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლისა და აბრეშუმის მუზეუმის რეაბილიტაციაზე თანხების ანაზღაურება.

ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მოთხოვნით, „გზების მოვლა შეკეთების: პროგრამის მეორე კვარტლიდან 3 530, 000 ლარის გადატანა ხდება მეორედან მესამე კვარტალში. არ შემდგარი ტენდერის გამო ვერ განხორციელდა ქათევან დედოფლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები,

ხოლო უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოების დასაფანინსაევბლად „საინჟინრო ნაებობის და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქციის" პროგრამის მეორე კვარტლის გეგმას ემატება 3 530 000 ლარი.

როგორც ცნობილია „თბილისის ავტობუსების პროექტის" ფარგლებში შპს „ ჯითი გრუპთან" დაიდო ხელშეკრულება 180 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის დაბალიატაკიანი დიზელზე მომუშავე საქალაქო ავტობუსების შესყიდვასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნტის ითვალისწინებს საავანსო ვალდებულების გაცემას 18 000 000 ლარის ოდენობით.

2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული „ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის „ პროგრამის ფარგლებში,აღნიშნულისთვის გათვალისწინებულია 13 500 000 ლარი. შპს „თბილსის სატრანსპორტო კომპანიის თხოვნით, დაგეგმილსა და ხარჯს შორის სხვაობის, 4 500 000 ლარის გადმოტანა ხდება „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის" პროგრამიდან.

მომხრე- 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფტრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ასევე თბილისის განვითარების ფონდი ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა **გადაწყვიტეს:**

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის me-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **დავით უთმელიძე**